ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №32

2022 წლის 19 დეკემბერი

ქ. ბოლნისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 მარტის №8 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების, შესაბამისად, შევიდეს ცვლილებები: ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 მარტის №8 დადგენილების (matsne.gov.ge გამოქვეყნების თარიღი 23/03/2022 წ. სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.158.016555) დანართი 1 -ში:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 მარტის №8 დადგენილებაში და დადგენილების დანართი 1-ი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — თამაზ ჟორჟოლიანი

დანართი №1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების განსაზღვრის შესახებ

მუხლი 1. პოლიტიკური თანამდებობის პირები

1. საკრებულოს თავმჯდომარე - 1 (თანამდებობრივი სარგო - 4961 ლარი);

2. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - 1 (თანამდებობრივი სარგო - 3751 ლარი);

3. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - 2 (თანამდებობრივი სარგო - 3267 ლარი);

4. საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე - 5 (თანამდებობრივი სარგო - 2662 ლარი);

5. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე - 2 (თანამდებობრივი სარგო - 2420 ლარი);

6. საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე - 9 (თანამდებობრივი სარგო - 1936 ლარი);

მუხლი 2. პროფესიული საჯარო მოხელეები

1. საკრებულოს აპარატის უფროსი (პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) -1 (თანამდებობრივი სარგო - 3509 ლარი);

2. სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება:

ა) განყოფილების უფროსი (მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) – 1 (თანამდებობრივი სარგო - 2783 ლარი);

ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) -2 (თანამდებობრივი სარგო - 2057 ლარი).

გ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) - 1 (თანამდებობრივი სარგო - 1936 ლარი).

3. საორგანიზაციო განყოფილება:

ა) განყოფილების უფროსი (მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) – 1 (თანამდებობრივი სარგო - 2783 ლარი).

ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) -1 (თანამდებობრივი სარგო - 2057 ლარი).

გ) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (მესამე რანგი) - 3 (თანამდებობრივი სარგო - 1936 ლარი).